



## საქართველოს საკანონმდებლო სიახლეები

### იხელმძღვანელეთ კანონმდებლობით

#### „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ ორგანული კანონი

„შრომის უსაფრთხოების შესახებ“ ორგანული კანონის ის დებულებები, რომლებიც მისი გამოქვეყნებისთანავე არ ამოქმედებულა, ძალაში შევიდა 2019 წლის 1 სექტემბრიდან. მათ შორის, ორგანული კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტი, რომელიც კანონის მოქმედებას ავრცელებს ეკონომიკური საქმიანობის ყველა დარგზე. ამავე თარიღიდან, ზედამხედველ ორგანოს მიენიჭა უფლება, წინასწარი შეტყობინების გარეშე შეამოწმოს ინსპექციისადმი დაქვემდებარებული ნებისმიერი სამუშაო სივრცე, დღე-ღამის ნებისმიერ დროს განახორციელოს სამუშაო სივრცის ინსპექტირება, მოკვლევა და შემოწმება, რაც აუცილებელია შრომის უსაფრთხოების ნორმების ეფექტიანი აღსრულებისა და გამოყენების უზრუნველსაყოფად.

ამასთან, ეკონომიკური საქმიანობის ყველა დარგში სავალდებულოა შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის - დამსაქმებლის მიერ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირის დანიშვნა/მოწვევა, რომელიც შრომის უსაფრთხოების ნორმების დარღვევის პრევენციის მიზნით უზრუნველყოფს შრომის უსაფრთხოების ღონისძიებების დანერგვასა და მართვას.

**ცვლილებები საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის No. 37/04 ბრძანებაში „ვალუტის გადამცვლელი პუნქტების რეგისტრაციისა და რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“**

2019 წლის 20 და 27 აგვისტოს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა მიიღო ბრძანებები (No. 153/04 და No. 154/4), რომელთა საფუძველზეც რიგი ცვლილებები შევიდა No. 37/04 ბრძანებაში.

ამ ცვლილებების მიხედვით, მეწარმე სუბიექტმა, რომელსაც სურს განახორციელოს ვალუტის გადაცვლის ოპერაციები ელექტრონული აპარატების მეშვეობით, რეგისტრაციის მიზნებისთვის განცხადებით უნდა მიმართოს ეროვნულ ბანკს.

რაც შეეხება უკვე რეგისტრირებულ ვალუტის გადამცვლელ პუნქტებს, თუ ისინი აკმაყოფილებენ ბრძანებით გათვალისწინებულ პირობებს, მათ შეუძლიათ ხელახალი რეგისტრაციის გარეშე განახორციელონ ვალუტის გადაცვლის ოპერაციები ელექტრონული აპარატების გამოყენებით. ამისთვის, ვალუტის გადამცვლელმა პუნქტმა განცხადებით უნდა მიმართოს ეროვნულ ბანკს, რის შემდეგაც ელექტრონული აპარატისთვის გაიცემა ფილიალის საკმისობის ნებართვა.

ცვლილებების მიხედვით განისაზღვრა ელექტრონული აპარატის მეშვეობით ვალუტის გადამცვლელი პუნქტის ვალდებულებები. მაგალითად, გადაცვლის ოპერაციის განხორციელებაზე, ასეთმა პუნქტმა უნდა უზრუნველყოს ეკრანზე შემდეგი ინფორმაციის მსხვილი (მინიმუმ 28) შრიფტით გამოტანა\*:

- „ვიყენებთ საკომისიოს“ (არსებობის შემთხვევაში);
- „ვიყენებთ საყურადღებო კურსს“ (არსებობის შემთხვევაში);
- „ტრანზაქციის გაუქმება და თანხის დაბრუნება შესაძლებელია ქვითრის მიღებიდან 30 წუთის განმავლობაში, თუ ტრანზაქციის მოცულობა არ აღემატება 3000 ლარს ან მის ეკვივალენტს უცხოურ ვალუტაში!“
- ინსტრუქცია თანხის დაბრუნების შესახებ.

\* გაითვალისწინეთ, რომ ეს ჩამონათვალი არ გახლავთ ამომწურავი.

საგულისხმოა, რომ ამ ცვლილებებით, შეიცვალა იმ ვალუტის გადამცვლელი პუნქტის/ფილიალის ვალდებულებებიც, რომელიც არ სარგებლობს ელექტრონული აპარატით. ასეთი პუნქტი/ფილიალი ვალდებულია, სალაროსთან განათავსოს შემდეგი ინფორმაცია მსხვილი, მინიმუმ 28-იანი შრიფტით:

*„ტრანზაქციის გაუქმება და თანხის დაბრუნება შესაძლებელია ქვითრის მიღებიდან 30 წუთის განმავლობაში, თუ ტრანზაქციის მოცულობა არ აღემატება 5000 ლარს ან მის ეკვივალენტს უცხოურ ვალუტაში!“*

ეს ინფორმაცია ასევე დატანილი უნდა იყოს ქვითარზეც.

ზემოთ მიმოხილული ვალდებულებების დარღვევისთვის, ეროვნული ბანკი უფლებამოსილია, რეგისტრაცია გაუუქმოს ორივე ტიპის ვალუტის გადამცვლელ პუნქტს.

**კანონპროექტი „ფინანსური გირავნობის, ურთიერთგაქვითვისა და დერივატივების შესახებ“**

საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებული კანონპროექტის თანახმად, დერივატივი განიმარტება, როგორც კვალიფიციური ფინანსური ხელშეკრულება, © 2019 შპს დელოიტი და ტუმი

რომლის ღირებულება და ფულადი ნაკადები, ამ გარიგების პირობების შესაბამისად, დამოკიდებულია საბაზისო აქტივზე ან საბაზისო მაჩვენებელზე და რომლის ანგარიშსწორება ხორციელდება რეალური მიწოდებით ან ფულადი ანგარიშსწორებით, მათ შორის ურთიერთგაქვითვით/საბოლოო ურთიერთგაქვითვით. კანონპროექტის განმარტებითი ბარათის თანახმად, ამ დრომდე დერივატივების ბაზარი საქართველოში არ არის სათანადო დონეზე განვითარებული, თუმცა მისი განვითარების მნიშვნელოვანი წინაპირობები უკვე არსებობს. შესაბამისად ფინანსურ ბაზრებზე ასეთი ინსტრუმენტის გამოყენების მიმართ მოთხოვნაც იზრდება.

როგორც განმარტებით ბარათში ვკითხულობთ, დერივატივების ინსტრუმენტების მიმართ ინტერესის ზრდა ძირითადად ორმა ფაქტორმა განაპირობა: პირველი ეს არის მცურავი გაცვლითი კურსის პირობებში 2014 წლიდან გაზრდილი „ვოლატილობა“ (სავალუტო ბაზარზე გარკვეული პერიოდის მონაკვეთში ფასის მოძრაობის დიაპაზონი), ხოლო მეორე - ცვალებად განაკვეთიანი სესხებისა და ფასიანი ქაღალდების აქტიური გამოყენება. როგორც კურსის, ასევე განაკვეთების ცვლილებასთან დაკავშირებული რისკების დაზღვევის საშუალებას წარმოადგენს დერივატივები.

კანონპროექტის შესაბამისად, კანონმდებლობაში შემოდის მნიშვნელოვანი სამართლებრივი განმარტებები. კერძოდ გათვალისწინებულია დერივატივის, კვალიფიციური ფინანსური ხელშეკრულების, ცალკეული დერივატივული გარიგებების (ოფციონი, ფორვარდი, სვოპი და ფიუჩერსი), ურთიერთგაქვითვის შეთანხმების, საბოლოო ურთიერთგაქვითვის, ფინანსური გირავნობის და ფინანსური ინსტრუმენტის ახალი დეფინიციის შემოღება.

საკანონმდებლო წინადადება ითვალისწინებს თანმდევ ცვლილებებს „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“, „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ კანონებში, საგადასახადო და სამოქალაქო საპროცესო კოდექსსა და ზოგიერთ სხვა ნორმატიულ აქტში, შემოღებულ სამართლებრივ და ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული რეგულაციების ასახვის მიზნით.

**კანონპროექტი საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ**

შემოთავაზებული კანონპროექტით, ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსს ემატება VII<sup>17</sup> თავი „ადმინისტრაციული სამართალწარმოება მოვაჭრის ქმედების დროებით შეჩერებასთან დაკავშირებით“. ცვლილებები კავშირშია „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონპროექტთან, რომლის მიხედვით, მომხმარებლის უფლებების დაცვის ინსტიტუციურ უზრუნველყოფას განახორციელებს სსიპ კონკურენციის სააგენტო. „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი ითვალისწინებს სასამართლოს თანხმობის საფუძველზე მოვაჭრის ქმედების დროებით შეჩერებას, რომლის მიმართაც დაწყებულია საქმის შესწავლა. საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში ცვლილებების განხორციელების გარეშე, სასამართლო ვერ განიხილავს მომხმარებლის უფლებების კანონმდებლობიდან გამომდინარე უკითხვს, რადგან შესაბამისი პროცედურა არ არის გათვალისწინებული მოქმედ კანონმდებლობაში.


# საკონტაქტო ინფორმაცია

შეკითხვების არსებობის შემთხვევაში, გთხოვთ მიმართოთ დელოიტის საქართველოს ოფისის შესაბამის თანამშრომლებს:



**გიორგი თავართქილაძე**

საგადასახადო და იურიდიული  
დეპარტამენტის დირექტორი  
[gtavartkiladze@deloitte.ge](mailto:gtavartkiladze@deloitte.ge)



**გიორგი ხუროძე**

იურიდიული სამსახურის უფროსი  
[gkhurodze@deloitte.ge](mailto:gkhurodze@deloitte.ge)

## თბილისი

### ბიზნეს ცენტრი King David

მერაბ ალექსიძის ქ. 12, მე-15 სართული  
თბილისი, 0171,  
საქართველო

Tel: +995 (32) 224 45 66

Fax: +995 (32) 224 45 69

[deloitte.ge](http://deloitte.ge)

## deloitte.ge

### დელოიტის შესახებ

დელოიტი გულისხმობს ერთ ან რამოდენიმე დელოიტ ტუმ ტომაცუ ლიმიტედის კომპანიას, რომელიც წარმოადგენს გარანტიით უზრუნველყოფილ ბრიტანულ კერძო კომპანიას (DTTL), მისი წევრი კომპანიების ქსელს და მასთან დაკავშირებულ ორგანიზაციებს. DTTL და მისი ყოველი წევრი წარმოადგენს იურიდიულად დამოუკიდებელ ცალკე პირს. DTTL (რომელიც ასევე მოიხსენიება როგორც გლობალური ქსელი „დელოიტი“) კლიენტებს არ უზრუნველყოფს სერვისის მიწოდებით. DTTL-ისა და მისი წევრი კომპანიების დეტალური აღწერისთვის გთხოვთ იხილოთ [www.deloitte.com/about](http://www.deloitte.com/about).

დელოიტი ახორციელებს აუდიტორულ, საკონსულტაციო, ფინანსური რჩევების, რისკების მართვის, საგადასახადო და მასთან დაკავშირებული მომსახურებების მიწოდებას, სხვადასხვა სფეროში მოღვაწე როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო კომპანიებისთვის. დელოიტი - კომპანიების გლობალური ქსელი, ჟურნალ „Fortune“-ს მიერ გამოქვეყნებული მსოფლიოს 500 უმსხვილესი კომპანიიდან დაახლოებით 400-ს ემსახურება 150-ზე მეტ ქვეყანაში მოღვაწე წევრი კომპანიების მეშვეობით. დელოიტი კლიენტებს უზრუნველყოფს მსოფლიო მასშტაბის შესაძლებლობებითა და უმაღლესი ხარისხის მომსახურებით, ურთულესი ბიზნეს-ამოცანების გადასაჭრელად. დელოიტში დასაქმებული 286 000-ზე მეტი პროფესიონალი გამსჭვალულია მიზნის მიღწევის იდეით. მეტი ინფორმაციის მისაღებად ეწვიეთ ჩვენს გვერდებს სოციალურ ქსელებში [Facebook](#), [LinkedIn](#), [Twitter](#).

ეს შეტყობინება მოიცავს მხოლოდ ზოგად ინფორმაციას და შესაბამისად არცერთი, დელოიტ ტუმ ტომაცუ ლიმიტედი (DTTL), მისი წევრი კომპანიები და დაკავშირებული ორგანიზაციები (ერთობლივად წოდებულნი როგორც „დელოიტის ქსელი“) ამ შეტყობინების საფუძველზე არ იღებს პასუხისმგებლობას საკონსულტაციო ან პროფესიული მომსახურების მიწოდებაზე. რაიმე გადაწყვეტილების მიღებამდე ან ქმედების განხორციელებამდე, რომელიც გავლენას იქონიებს თქვენს ფინანსებსა და ბიზნესზე, უმჯობესია კონსულტაცია გაიაროთ კვალიფიციურ კონსულტანტთან. „დელოიტი“-ს ქსელის არცერთი წევრი კომპანია არ არის პასუხისმგებელი ნებისმიერი პირის რაიმე სახის დანაკარგზე, რომელიც ეყრდნობა ამ შეტყობინებას.